# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 7

სოფელი ნაღვარევი 1 თებერვალი, 2016 წელი

ერთის მხრივ ნაღვარევის საჯარო სკოლა (შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მერი ტაკიძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ ,,კობა გაბაიძე", წარმოდგენილი მისი წარმომადგენლის კობა გაბაიძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს¹'' ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სკოლის ბეჭდის დამზადება(CPV კოდი 30100000)

## ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 100 ლარს.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს საამისოდ უფლებამოსილი პირი.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქალაქი ბათუმი

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 1 თებერვლიდან 2016 წლის 7 თებერვლის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

## 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღის განმავლობაში, ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 1 თებერვალს და მოქმედებს 2016 წლის 10 აპრილის ჩათვლით.

შემსყიდველი:

ნაღვარევის საჯარო სკოლა
მის: სოფელი ნაღვარევი
საიდენტიფიკაციო კოდი: 247863771
ბანკი: ლიბერთი
ტელ: 5577 16 10 36

დირექტორი:

მიმწოდებელი:

ი/მ ,,კობა გაბაიძე“
მის: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ №42
საიდენტიფიკაციო კოდი: 61002002214
ბანკი:საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE[illegible]0000121369100

ი/მეწარმე

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0219774902 |
|---|---|---|

| 2 | 05/02/2016 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 12:58:11 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

| 4 | კობა გაბაიძე | 61002002214 |
|---|---|---|

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

| 5 | სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაღვარევის საჯარო სკოლა | 247863771 |
|---|---|---|

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირების გარეშე |
|---|---|---|

| 7 | ქ.ბათუმი, მემედ აბაშიძის 42 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | X |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | X |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

| |
|---|
| |

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი |
|---|---|

თანხა ლარებში

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბეჭდის დამზადება ჯიბის აპარატზე | 3 | ცალი | 1.0000 | 50.0000 | 50.0000 |

| 13 | 50 - ორმოცდაათი ლარი და ნული თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 05/02/2016 | 12:58:12 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი. თვე. წელი) | დრო (საათი. წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 11/03/2016, 12:10:01